

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები სამედიცინო კვლევასა და დიაგნოსტიკაში

ლილი პეტრიაშვილი, მარა ოხანაშვილი, ნანა ნოზაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სამედიცინო მოწყობილობათა ტექნიკურ პროგრამული უზრუნველყოფა, რაც ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებში უზრუნველყოფს დიაგნოსტიკისა და კვლევის ინსტრუმენტულ/აპარატურულ მოწყობილობათა ცალკეულ ან კომბინირებულ ექსპლუატაციას. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ამბულატორიულად მოვლის პირობებში პაციენტება მიღლის ვიზუალურ ექიმთა ჯგუფის კვალიფიციური, ეფექტური სამედიცინო დახმარება;

საკვანძო სიტყვები: კლინიკური ინჟინერია. workflow. CASE. OLTP. EDMS – Electronic Document Management System.

1. შესავალი

21-ე საუკუნის მეცნიერების განსაკუთრებულად სწრაფად ზრდადი მულტიდისკიპლინირებული დარგი არის „კლინიკური ინჟინერია“. კლინიკური ინჟინერია არის მეცნიერება, რომელიც აერთიანებს ინჟინერიის, ბიოლოგიის, მედიცინის და კომპიუტერულ მეცნიერებების ცოდნას და ინტეგრირებულად მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე. ევოლუცია მეცნიერებაში და შთამბეჭდავი პროგრესი ასე უწოდა ნიუიორკის შტატის სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა პროფ. გეორგე შლედგემ სამედიცინო სფეროში მიმდინარე პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ახალი ინოვაციური სამედიცინო მოწყობილობათა ინტეგრირებულ გამოყენებით.

საბაზო ეკონომიკის პირობებში კლინიკები მუშაობის პროცესში საჭიროებენ ინფორმაციის მიღების ოპერატიულობას, დამუშავებას და ანალიზის შედეგების ოპერატიულად გამოყენებას. კლინიკაში სრულფასოვანი დიაგნოსტიკისა და მართვის სისტემის შემუშავება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს.

2. ძირითადი ნაწილი.

კლინიკური ინჟინერიის საგანს წარმოადგენს სასიცოცხლო სისტემების შესახებ ახალი ცოდნის შემენა და იმ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, რომლის საფუძველიცაა უახლესი საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევები.

სამკურნალო დაწესებულებებში მენეჯმენტი დამოკიდებულია ობიექტურ და დროულ ინფორმაციაზე, რომელიც გროვდება, მუშავდება, ინახება და ვრცელდება თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ამჟამად, ეს არის ობიექტური აუცილებლობა, რომელიც განპირობებულია, კერძოდ, თანამედროვე კლინიკების მოთხოვნით, ადეკვატურად იმოქმედის დინამიურად განვითარებად გარემოში წამოჭრილ პრობლემებზე. აუცილებელია არა მარტო არსებობდეს დროული და ზუსტი ინფორმაცია, არამედ უნდა მოხდეს მისი გააზრება, აუცილებელი დასკვნების გაკეთება და შედეგიანად გამოყენება მმართველობით გადაწყვეტილებებში. ინფორმაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ცნობების, შეტყობინებების, მასალებისა და მონაცემების ერთობლიობა, რომლიც განსაზღვრავს მენეჯერის პოტენციური ცოდნის დონეს პროცესებისა, ან მოვლენების შესახებ მათ ურთიერთკავშირში.

ინფორმაციის აღრიცხვითი ხასიათის წყაროებია კლინიკაში არსებული ყველა მონაცემი, რომლებიც შეიცავს საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერატორული აღრიცხვის დოკუმენტებს, აგრეთვე ანგარიშების ყველა სახეობას და პირველად საღრიცხვო დოკუმენტაციას.

მონაცემთა ანალიზის საინფორმაციო უზრუნველყოფაში წამყვანი როლი ენიჭება დიაგნოსტიკასა და თერაპიას, სადაც განსაკუთრებით სრულად არის ასახული სამჯურნალო პროცესები და მათი შედეგები. დროული და სრული ანლიზი იმ მონაცემებისა, რომლებიც მოცემულია პაციენტთა პირად ბარათებში (პირველადში და კრებითში) და აღრიცხვიანობაში, უზრუნველყოფს მკურნალობის უკეთესი შედეგების მიღწევასა და თერაპიის უკეთეს შესრულებაზე მიმართული აუცილებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

დიდი კლინიკების ფუნქციონირებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა ოპერატორულობას და სიზუსტეს. მონაცემთა ოპერატორულად გაცვლისათვის აუცილებელია კლინიკაში მიმღინარე საქმიანი პროცესების ავტომატიზაცია.

საქმიანი პროცესების ავტომატიზაციის ტექნოლოგია (**workflow**) – არის საწარმოს მართვის პროცესების პროგრამული მხარდაჭერა. იგი აერთიანებს რამდენიმე საინფორმაციო ტექნოლოგიას, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, პროექტების მართვის სისტემა, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა, ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება და **CASE**-ტექნოლოგიები [1].

მიუხედავად იმისა, რომ კლინიკაში მიმღინარე საქმიანი პროცესები მრავალფეროვანია, შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია ადმინისტრაციულ და ოპერატორულ საქმიანობად.

ადმინისტრაციული საქმიანობა – ასახავს მართვის პროცესში სხვადასხვა მონაწილეთა შორის კომუნიკაციების ორგანიზაციას და საერთო შემთხვევაში ვარაუდობს განკარგულებების გაცემას და მათი შესრულების კონტროლს.

ოპერატორული საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ მართვა წარმოადგენს ძალზედ შემოქმედებით პროცესს, მისი რაღაც ნაწილი რუტინულია და წარმოადგენს სტერეოტიპული, განმეორებადი ოპერაციების ნაკრებს, რომელიც აუცილებელია საწარმოო პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის. ძირითადად, ესაა მართვის პროცესში წარმოქმნილი საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება.

საწარმოს საქმიანობა დოკუმენტირებული უნდა იყოს, არსებულ ადმინისტრაციულ, ფინანსურ, კომერციულ, საწარმოო ოპერაციებზე. სწორედ აღნიშნული დოკუმენტების დამუშავება შეადგენს ოპერატორული შრომის ძირითად შინაარსს (იგულისხმება დოკუმენტების გაფორმება, რეგისტრაცია, შემოსული კორესპონდენციის საექსპედიციო დამუშავება).


ძირითადად ოპერატორული შრომის ავტომატიზაციისათვის გამოიყენება მონაცემთა ოპერატორულად დამუშავების სისტემები, რომელთაც აქვთ მრავალფეროვანი ფუნქციონალური საშუალებების მდიდარი ნაკრები და უზრუნველყოფები იმ მონაცემების დამუშავებას, რომლებიც წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით [2].

მათ განეკუთვნება დოკუმენტების დამუშავების სხვადასხვა საშუალებები (როგორიცაა ტექსტური, ცხრილური და პრეზენტაციების მომზადების საშუალებები და ა.შ.), ტრანზაქციების დამუშავების სისტემები (**OLTP-Online Transaction Processing**), მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები (მბმს), დოკუმენტების მართვის სისტემები (**EDMS – Electronic Document Management System**) [3].

საქმიანი პროცესების ავტომატიზაციის საფუძველს წარმოადგენს მართვის ამოცანების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიღვომა. ეს ნიშნავს, რომ სისტემა მხარს უჭერს მართვის ძირითადი ფუნქციის რეალიზაციას: დაგეგმარება, ორგანიზება, აქტივიზირება, კოორდინირება და კონტროლი.

მართვის სისტემა შეგვიძლია დავყოთ მმართველ და მართვად ქვესისტემებად. **მმართველი ქვესისტემა** დაკავებულია მართვის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების შემუშავებით. მართვადი ქვესისტემა წარმოადგენს ამ გადაწყვეტილებების შემსრულებელს. მმართველი და მართვადი ქვესისტემების ურთიერთქმედების ეფექტურობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს უკუკავშირი წარმოადგენს. **უკუკავშირი** – ესაა ინფორმაცია მართვის ურთიერთქმედების შედეგებზე. მმართველი ქვესისტემა ღებულობს მას მართვადი ქვესისტემიდან სხვადასხვა ანგარიშების (დოკუმენტირებული ან ზეპირი) სახით. ასეთი ინფორმაცია გვეხმარება მიღებული შედეგების შეფასებაში და წარმოადგენს საფუძველს ახალი გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის, რომლიც კორექტირებას უწევს, ან ანგითარებენ წინა გადაწყვეტილებებს.

ასე რომ მმართველობის პროცესების ავტომატიზაციის საშუალებები წარმოადგენს ინტეგრირებად საშუალებას მმართველი და მართვადი ქვესისტემების ურთიერთქმედების უზრუნველყოფისას, რომლის იმპროვიზირებილი ვარიანტი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.



ნახ.1.

პაციენტს, რომელსაც აქვს პირადი სამედიცინო ელექტრონული ბარათი, ინტერაქტიულ რეჟიმში უკავშირდება შესაბამის კლინიკას და ექიმს, რათა მიღლოს კვალიფიციური კონსულტაცია და თერაპია. პირად ბარათზე ასახულია პაციენტის სრული კლინიკა, რაც ექიმს საშუალებას აძლევს რეალურად შეაფასოს მისი მდგომარეობა და მიღლოს ოპერატორიული გადაწყვეტილება.

ავტომატიზებული სისტემა გადასცემს შემსრულებელს ინიცირებულ სამუშაოებს აღწერილი მახასიათებლების თანახმად, რაც შესაძლებელს ხდის ინტერაქტიულ რეჟიმში მიღებული იქნას გადაწყვეტილება.

3. დასკვნა

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი ხდება აბულატორიულ პირობებში მყოფმა პაციენტმა მიღლოს ექიმთა ჯგუფის კვალიფიციური დახმარება და გაეწიოს პირველადი დახმარება.

სამედიცინო კლინიკებში მიმდინარე საქმიანი პროცესების ავტომატიზაციებულად მართვით უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებების (როგორც მართველობითი, ასევე დიაგნოსტიკური) მიღების მაღალი ეფექტურობა;

- შესაძლებელია კლინიკის საინფორმაციო პროცესების რაციონალიზაცია და ინტეგრირება, მათ შორის სრულყოფილი ხდება კლინიკის ღოკუმენტთა ბრუნვის ორგანიზაცია;
 - თავიდან აცილებულია ფუნქციათა დუბლირება;
 - უმჯობესდება მუშაობის ეფექტურობა;
- კლინიკაში მცირდება სხვადსხვა საქმიან პროცესებზე ხარჯები საწარმოში ფუნქციონირების საინფორმაციო თანხლებაზე;
- აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებით ეფექტურად ხდება კლინიკაში მიმდინარე საქმიანი პროცესებისა და ღოკუმენტბრუნვის ავტომატიზებული მართვა.

ლიტერატურა:

1. გ. სურგულაძე, ლ. პეტრიაშვილი „მონაცემთა საცავები კორპორაციულ სისტემებ-ში და მათი მენეჯმენტი“ სტუ-ს სარედ.-საგამომც. საბჭო სტუ, თბილისი, 2009
2. Information Centre for OLAP, I. Ihnmon. Data Warenhouse and Business Intelligence. Erlangen 2007.
3. [Http://www.ditis.ucy.ac.cy](http://www.ditis.ucy.ac.cy)

MODERN INFORMATION TECHNOLOGIES IN MEDICAL RESEARCHES AND DIAGNOSTICS

Petriashvili Lily, Okhanashvili Maia, Nozadze Nana
Georgian Technical University

Summary

In article application of modern information technologies for medical researches is considered. Inspection of the patient for today isn't obviously possible without use of modern diagnostic devices. Application of information technologies in medicine was promoted by distribution of personal computers that automation of processing of documents in medical institutions, and also creation of program complexes of diagnostics and treatment, information-statistical systems for processing of results of medical and biologic researches, finally, has demanded.

СОВРЕМЕННЫЕ ИНФОРМАЦИОННЫЕ ТЕХНОЛОГИИ В МЕДИЦИНСКИХ ИССЛЕДОВАНИЯХ И ДИАГНОСТИКЕ

Петриашвили Л., Оханашвили М., Нозадзе Н.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются вопросы применения современных информационных технологий для медицинских исследований. Обследование пациента на сегодняшний день не представляется возможным без использования современных диагностических аппаратов. Применению информационных технологий в медицине способствовало распространение персональных компьютеров, что, в конечном итоге, потребовало автоматизации обработки документов в медицинских учреждениях, а также создания программных комплексов диагностики и лечения, информационно-статистических систем для обработки результатов медико-биологических исследований.